საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ელ. ფოსტა: telasi@telasi.ge
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

N: 0422/353/26
22/04/2026

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

სს "თელასი" (საიდენტიფიკაციო კოდი 202052580), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც "მიმნდობი", წარმოდგენილი საზოგადოების გენერალური დირექტორის სერგეი კობცევის (პირადი ნომერი 01591002308) სახით, შპს „გეოენერჯი-სერვის კომპანის" თანამშრომელს გიორგი ქარქაშაძეს (პ/ნ 01025016634), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც "მინდობილი პირი", ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

სს „თელასსა" და შპს „გეოენერჯი-სერვის კომპანის" შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე სატრანსფორმატორო ქვესადგურების (№8577, 8527, 6116, 1685) ნაგებობების სადემონტაჟო, ახალი ნაგებობების სამშენებლო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისა და აღნიშნულ პროექტებზე შესაბამისი ნებართვების ასაღებად "მინდობილი პირი" უფლებამოსილია წარმოადგინოს „მიმნდობი" სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებში, მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში. სს „თელასის" სახელით წარადგინოს/მიიღოს ყველა სახის დოკუმენტაცია და განახორციელოს ყველა აუცილებელი მოქმედება, რაც საჭიროა ამ დავალების შესასრულებლად.

"მინდობილი პირი" ვალდებულია მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით, "მიმნდობს" მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.

მინდობილობა ძალაშია ხელმოწერიდან და მოქმედებს 2026 წლის 01 ოქტომბრის ჩათვლით.

გენერალური დირექტორი

სერგეი კობცევი

სააქციო საზოგადოება "თელასი"
ს/ნ: 202052580